პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივნისი, შაბათი, 1986 წ.
№ 120 (9211) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ამოცანაა უფრო სრულად და მაღალხარისხოვნად აკმაყოფილებდეს ყოველ მიანთა მოთხოვნილებებს მრავალფეროვან მომსახურებაზე, პასუხობდეს მის თანამედროვე სახეობებს, იმაღლებდეს შრომის კულტურას. სწორედ ეს განსაზღვრავს არასაწარმოო სფეროში მიმდინარე შეჯიბრების არსს. იმაზე, თუ როგორ იმუშავებენ მაღაზიები და სასადილოები, სახელოსნოები და ატელიეები, პოლიკლინიკები და საავადმყოფოები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები, დასვენების მთელი ინდუსტრია გევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების გაწყობილება და საბოლოო ანგარიშით – შრომის შედეგიანობა.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი)

სსრ კავშირის მემთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

19 ივნისს, ნაშუადღევს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. ხოლოვოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, მ. ვ. ზიმიანინს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ა. ნ. იაკოვლევს, ი. ვ. კაპიტონოვს.

სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. ვოსი.

პალატების მიხედვით ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

კანონით დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

დადგენილია 1986–1990 წლების გეგმის ძირითადი მაჩვენებლები, სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა განსაზღვროს სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა შესრულების კონკრეტული ვადები და უზრუნველყოს მათი განხორციელება.

გათვალისწინებულია გაიზარდოს შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანობა. უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათს შრომითს წვლილს, ძირფესვიანად აღმოიფხვრას გათანაბრების ელემენტები, გაძლიერდეს მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის. გაუმჯობესდეს ხელფასის ოდენობის თანაფარდობა სახალხო მეურნეობის დარგების, აგრეთვე მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა სირთულისა და პირობების გათვალისწინებით. გაძლიერდეს ინჟინრის შრომის პრესტიჟულობა. გაიზარდოს ოსტატების, ტექნოლოგებისა და კონსტრუქტორების როლი და ავტორიტეტი, გაძლიერდეს მათი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები და მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

თანაბომიმდევრულად განხორციელდეს საცალო ფასების პოლიტიკა მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

შემდეგ მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **თ. ნ. შენთეშაშვილმა.**

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნა გ. გ. ვედერნიკოვი და ვ. კ. გუსევი. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ი. პ. რიაბოვი.

ამით სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (ასკდ-სი).

ბაზრობა თვის ბოლომდე გასტანს

თბილისის მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ მიერ შემოთავაზებული საქონლის გამოფენა-გაყიდვამ. იმპროვიზებული ბაზრობა ივნისის ბოლომდე გასტანს. აქ მსურველს შეუძლია შეიძინოს როგორც სამამულო, ისე უცხოური წარმოების საქონელი — სპორტული კოსტიუმები და ფეხსაცმელი, ჩოგბები, ბურთები, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები. ბაზრობაზე უკვე გაიყიდა „ზაპოროჟეცის“ მარკის ბევრი ავტომანქანა ხუთპროცენტიანი ფასდაკლებით. რაღა თქმა უნდა, ბევრი მყიდველი ჰყავს ველოსიპედებს.

გამოფენა-გაყიდვა სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების დღეებში მოეწყო. ახალგაზრდები აქ შეიძენენ ბევრ ისეთ ნივთს, აგრეთვე ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს, რაც ზაფხულის პერიოდში გამოადგებათ აქტიური დასვენებისთვის, სავარჯიშოდ.

— მომხმარებელს 3500 დასახელების პროდუქცია შევთავაზეთ, — ამბობს გაერთიანება „სპორტსაქონლის“ უფროსი მ. ტყეშელაშვილი. — თითქმის ყველაფერმა, რაც გამოფენაზე გამოვიტანეთ, მოსახლეობის ინტერესი დაიმსახურა.

აქვე ვიტყვით, რომ გაერთიანებამ ამ დღეებში წარმატებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

სპორტის სასახლესთან ბაზრობა გრძელდება.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

სხვაობა არც ისე დიდია

დნეპროპეტროვსკი. აქ სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა ვაჟთა მრავალდღიანმა ველორბოლამ, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

შეჯიბრება, ტრადიციულად, 6-კილომეტრიანი პროგრამით დაიწყო. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები მარატ განეევმა (რსფსრ), იგორ სუმნიკოვმა (ბელორუსია) და ვასილი ჟდანოვმა (უკრაინა) დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო დრო რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტებს ჰქონდათ — 32.40. საქართველოს ნაკრებმა პროგრამის ამ სახეობაში 34.34 აჩვენა და მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ველოსიპედისტებმა ამჯერად უკან ჩამოიტოვეს უზბეკეთის (34.37), მოსკოვის (34.42) და სომხეთის (35.23) ძლიერი კოლექტივები.

შემდეგ გაიმართა გუნდური რბოლა 50 კილომეტრზე, სადაც კვლავ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა იმარჯვეს — 1:00.24. მეორე ადგილზე გავიდა უკრაინის გუნდი — 1:00.37, მესამეზე — ყაზახეთის ნაკრები — 1:01.28.

საქართველოს ველოსიპედისტებს ამ სახეობაში მე-12 შედეგი ჰქონდათ — 1:03.22. ეს არც ისე ურიგო მაჩვენებელია, ყოველ შემთხვევაში დაწინაურებული გუნდები ჩვენს სპორტსმენებს დიდად არ უსწრებენ. ასე მაგალითად მოსკოვის კოლექტივის დრო 1:03.09 იყო, ყაზახეთისა და ლიტვისა — 1:03.12, ტაჯიკეთისა 1:03.14, და ა. შ.

ამ დღეს ჯგუფური რბოლაც გაიმართა, სადაც პირველი-მეორე ადგილები რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ასიატ საიტოვმა და დიმიტრი კონიშევმა მოიპოვეს. ფინიშთან მესამე მოლდავეთის წარმომადგენელი გენადი ალექსაშინი მიიჭრა.

ორი ეტაპის ჯამში ლიდერთა სამეულში ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. უკრაინა, 3. ყაზახეთი.

მეოთხე ეტაპი

ჩერნოვცი. გაიმართა ქალთა მრავალდღიანი ველორბოლის (ეს შეჯიბრებაც, როგორც ცნობილია, ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით ტარდება) მეოთხე ეტაპი. 90 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ყველას მოლდავეთის წარმომადგენელმა ს. ვავაკინამ აჯობა — 2:32.42. მეორე ადგილზე ე. ლოშკოვსკაია (ბელორუსია) გავიდა — 2:32.43, მესამეზე — ლ. ზიპორიტე (ლიტვა) — 2:32.43.

პირად ჩათვლაში ლიდერობას რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ა. აიკოვლევა ინარჩუნებს. გუნდურში კი უზბეკეთის ველოსიპედისტები დაწინაურდნენ.

დახმარების ფონდში

ჩერნოგილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფა, ცხადია, სხვებთან ერთად გულთან ახლოს ბაკურიანის სპორტკომბინატის თანამშრომლებმაც მივიტანეთ. ჩერნობილის დახმარების ფონდში ჩვენ ხელფასიდან 150 მანეთი გადავრიცხეთ.

გურამ სანაკოევი,
ბაკურიანის სპორტკომბინატის დირექტორი.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

18. VI. კერეტარო. ესპანეთი — დანია 5:1

18. VI. მეხიკო. ინგლისი — პარაგვაი 3:0

დღეს მეოთხედფინალში თამაშობენ:

ბრაზილია — საფრანგეთი

გფრ — მექსიკა

MEXICO86

Pique

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX სპარტაკიადა

მხოლოდ ოთხი გუნდი

საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ჩოგბურთელთა ტურნირში მხოლოდ ოთხმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. თბილისში, „დინამოს“ კორტებზე, მასპინძლებთან ერთად სახასპარეზოდ შეიკრიბნენ აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლები. რესპუბლიკაში სპორტის ამ ლამაზი სახეობის დიდი პოპულარობის მიუხედავად, დღეს მხოლოდ ამ ოთხ რეგიონს შეუძლია სრული გუნდის გამოყვანა, რაც, როგორც იტყვიან, „დალხინებული ცხოვრების“ ბრალი არ უნდა იყოს. მართალია, უკანასკნელ ხანს შესამჩნევად იმატა მოედნების რაოდენობამ, სპორტსმენთა კონტინგენტიც გაიზარდა, მაგრამ ადგილებზე სათანადოდ მაინც ვერ მუშაობენ.

სწორედ ჩვენში ჩოგბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების საკითხებზე გამახვილდა ყურადღება რესპუბლიკური ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმზე, რომელიც სპარტაკიადის დღეებში ჩატარდა.

აღინიშნა, რომ წინა პლენუმის შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში მოედნების რაოდენობა 51-დან 83-მდე გაიზარდა. კორტები მოეწყო თელავში, ჭიათურაში, გორში, ბიჭვინთაში... შესაბამისად გაიზარდა სპორტულ ჯგუფებში მოსეცადინე ნორჩ ჩოგბურთელთა რიცხვიც, მაგრამ მათი დაოსტატება ყველგან ერთნაირი წარმატებით როდი მიმდინარეობს, რაშიც მწვრთნელების დაბალ კვალიფიკაციასთან ერთად მოედნებსაც „მიუძღვით ბრალი“. ხშირ შემთხვევაში, მათი საფარი ისეთი მოუვლელია, რომ იქ შეჯიბრებები კი არა, ნორმალური წვრთნის ჩატარებაც შეუძლებელია. სამაგალითოდ თელავის ჩოგბურთის სტადიონიც გამოდგება.

— უკვე მეორე წელია, რაც თელავის კორტები პრაქტიკულად უქმად დგას, — გულისტკივილით გვითხრა ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გოგლიძემ. — იმის გამო, რომ საფარი მოვლა-პატრონობას საჭიროებდა, შარშან იქ დანიშნული ორი შეჯიბრების სხვაგან გადატანა მოგვიხდა. რამდენიმე დღის წინ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, თორემ რესპუბლიკური პირველობისა და საკავშირო სპარტაკიადის წინ საქართველოს ნაკრების ბოლო საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად სხვა ადგილს ვეძებდით. თუმცა, არჩევანის საშუალება პრაქტიკულად არცა



ეკა ბოკუჩავა

გვაქვს. აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ იქაური ნორჩ სპორტსმენებს ამ ხნის მანძილზე ნორმალური სავარჯიშო პირობები არ ჰქონდათ.

საშველი არ დაადგა ქუთაისში დახურული კორტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. იქ მეოთხე წელია მწყობრში ჩადგა მშვენიერი ნაგებობა ორი დახურული მოედნით, სადაც ჩოგბურთელებს ერთხელაც არ შეუდგამთ ფეხი. შარშან არ მოხერხდა ნორჩების საკავშირო ტურნირის ჩატარება. მიზეზი? კორტებზე გაშლილია საჭიდაო ლეიბები. ერთი-ორჯერ აქ მოფარიკაველებს და მოკრივეებსაც მოუსინჯავთ ძალა, ადგილობრივი ჩოგბურთელები კი ისევ სპორტსკოლის ასფალტისსაფარიან მოედნებზე „იმაღლებენ ოსტატობას“.

...პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხებიც. ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია რესპუბლიკის აგრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რესან კონცელიძე, მოადგილეებად — ვლადიმერ გოგლიძე და ლეონარდ მძინარაშვილი. ცვლილებები მოხდა პრეზიდიუმის შემადგენლობაში: მწვრთნელთა საბჭოს სათავეში ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ კაკულია, მსაჯთა კოლეგიის მუშაობას კი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი მარლენ ქობალია უხელმძღვანელებს.

ახლა ისევ სპარტაკიადის შედეგებს დავუბრუნდეთ. საერთო გუნდური ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის, მესამეზე — აჭარის წარმომადგენლები.

იმის მიუხედავად, რომ სარბიელზე არ გამოსულან ლეილა მესხი, ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა, რომლებიც საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში საზღვარგარეთ ასპარეზობდნენ, აგრეთვე ირინე მალაციძე და ირინე გერაძე, ფინალურ ოთხეულებში კვლავ თბილისელი ჩოგბურთელები გავიდნენ. ქალთა შორის ეკა ბოკუჩავამ და ეკა თოხაძემ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს



ვიქტორ ხურდა

და გადამწყვეტ მატჩშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ორთაბრძოლა თავიდანვე ბოკუჩავას უპირატესობით წარიმართა, იგი მალე დაწინაურდა (4:0). როგორც ჩანს, საქმე მოთავებულად ჩათვალა და შეასუსტა შეტევა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა თოხაძემ, დაეუფლა ინიციატივას და ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო, მაგრამ მერე ძალა აღარ ეყო და სამი გეიმი „დაუთმო“ მეტოქეს — 5:7. მეორე პარტიაში ბოკუჩავას უპირატესობა აშკარა იყო — 6:0.

ამრიგად, 53-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ ეკა ბოკუჩავამ (მწვრთნელები რენა აბუასლაძე და ვლადიმერ გოგლიძე) პირველად მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული. მესამე ადგილზე ლიანა ტამიროვა გავიდა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტებზე კვლავ გამოჩნდა ვიქტორ ხურდა. ალბათ, ფინალური ოთხეულის ყველა მონაწილე პირველ ადგილს „უმიზნებდა“, მაგრამ ხურდას შანსები თავიდანვე მაღალი ჩანდა. ასეც მოხდა. მან სამივე მეტოქე ადვილად დაამარცხა, მათ შორის მეორე ადგილზე გასული დავით კვარაცხელიაც — 6:3, 6:3 და დამსახურებულად მოიპოვა პირველობა. მესამე იყო გიორგი მირიანაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ბოკუჩავაც და ხურდაც (მწვრთნელები რენა აბუასლაძე და ტომას ლეიუსი) სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლები არიან.

ბოკუჩავა თოხაძესთან ერთად უძლიერესი იყო წყვილთა შეჯიბრებაში. მეორე ადგილზე გავიდნენ ოლიკო თუხარელი და ნინო წირღვავა, მესამეზე — ტამიროვა და დიანა შაფათავა.

ვაჟებში ყველას აჯობა ხურდა— ირაკლი მეტრეველის დუეტმა; შემდეგ მოდიან მირიანაშვილი—კვარაცხელიას და კოტე გოგელია—გია კუპრეიშვილის წყვილები.

შერეულ წყვილებში საპრიზო სამეულში მოხვდნენ ბოკუჩავა და მირიანაშვილი, თუხარელი და ლევან თოფჩიშვილი, თოხაძე და კვარაცხელია.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ გარემოებას. მოსპარეზეთა უტაქტობაზე მოგახსენებთ. სპორტსმენებს, მითუმეტეს ნორჩი ასაკისას, არ შეფერის უადგილო პრეტენზიულობა, ზედმეტი ემოციურობა. ზოგი განაწყენებული ყმაწვილი, ბრაზით ჩოგანს მიწაზე ანარცხებდა, მათ შორის ფინალური ორთაბრძოლის ზოგიერთი მონაწილეც. ამაზე პირველ რიგში მწვრთნელებს მართებთ დაფიქრება, დიახ, ისინი ჩოგბურთელთა მხოლოდ სპორტული შედეგების ზრდაზე არ უნდა ზრუნავდნენ.

გია ახალაძე.

საკითხის დასმის ფონით

რა არის ფიზიკური აღზრდის საშუალებები?

ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალებებად, თეორიულად და პრაქტიკულად ბოლომდე არ არის მეცნიერულად გადაწყვეტილი. თუმცა მისი სწორად და კონკრეტულად გადაწყვეტისათვის დიდი ხანია ყველა პირობა არსებობს.

ცნობილია, რომ აღზრდის ყველა დარგი, როგორც წესი, საერთო და თავისი სპეციფიკისათვის შესაფერის საშუალებებს იყენებს.. აქედან დასკვნა: ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში გამოიყენება როგორც ზოგადპედაგოგიკური, ისე სპეციფიკური საშუალებანი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს ფიზიკური აღზრდის საშუალებათა რაობაზე ერთი აზრი არ არსებობს. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის სახელმძღვანელოში (გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტი“, ტ. 1. 1976 წ.) ფიზიკური აღზრდის საშუალებებად მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშებია აღიარებული. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის დამხმარე სახელმძღვანელოში (გამომცემლობა „პროსვეშჩენიე“, 1979 წ.) ფიზიკური აღზრდის ძირითად სპეციფიკურ საშუალებად ფიზიკური ვარჯიშია მიჩნეული (გვ. 41). ამ დარგის სპეციალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ფიზიკური ვარჯიშის ცალკეული ელემენტები სრულდება თამაშის დროს — ტანვარჯიშში და სპორტის სხვა, მათ შორის სათამაშო სახეობებში მეცადინეობისას. დიახ, ტანვარჯიშს, თამაშსა და სპორტის სხვა სახეობებში მეცადინეობას ფიზიკურ ვარჯიშებად მიიჩნევენ; ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილებაში მითითებულია, რომ ფიზიკური კულტურა არ უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშებით — ტანვარჯიშით და სპორტის სხვა სახეობებით (ეს მეთოდოლოგიური დებულება საფუძვლად დაედო ფიზიკური აღზრდის საშუალებათა სპეციალური ჯგუფის — ფიზიკური ვარჯიშები, სამყაროს ბუნებრივი ფაქტორები, ჰიგიენური პირობები, შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმი — სწორად განსაზღვრას). ახლა დავსვათ კითხვა: შეიძლება თუ არა ფიზიკური აღზრდის ძირითად სპეციფიკურ საშუალებად მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები ჩაითვალოს? მართალია, ფიზიკური ვარჯიშების ცალკეული ელემენტები ტანვარჯიშსა და სპორტის სხვა სახეობებში მეცადინეობის დროსაც გამოიყენება, მაგრამ თამაშის დროს შესრულებული მოქმედება ვარჯიშად არ ჩაითვლება, რადგან ფიზიკური ვარჯიშები (გარდა იმისა, რომ მოძრაობითი მოქმედებანი სპეციალურად უნდა შეირჩეს) **დოზირებულად** უნდა იქნას გამოყენებული. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ თამაში ძირეულად განსხვავდება ფიზიკური ვარჯიშისაგან. განსხვავდება თუნდაც იმით, რომ ფიზიკური ვარჯიში ეს არის მოქმედება, თამაში კი (მხედველობაში გვაქვს მოძრავი) — ქცევა. ამიტომაა, რომ

ბავშვთა ასაკში ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად იგი ითვლება და არა ფიზიკური ვარჯიში. ეს დებულება პედაგოგიკაშიც კარგადაა ცნობილი და ბავშვებიც სწავლების ამ ფორმას უფრო ეგუებიან, დიახ, ბავშვს უჭირს აბსტრაქტული ხასიათის ცალკეული მოძრაობების მრავალჯერ შესრულება. თამაშში კი თვითონ ხვდება როგორ მოიქცეს, როგორ გაართვას თავი რთულ, ცვალებად სიტუაციას.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ფიზიკური აღზრდის ძირითად და სპეციფიკურ საშუალებად, ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად, მოძრავი თამაშებიც უნდა ვაღიაროთ. რაც შეეხება ტანვარჯიშს, ტურიზმსა და სპორტის სხვა სახეობებს, ისინი, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა განვიხილოთ, როგორც გაკვეთილის გარკვეული ტიპები და თუ მათ ფიზიკური აღზრდის საშუალებებადაც ჩავთვლით, არც ეს იქნება დიდი შეცდომა, რადგან, როგორც ცნობილია, ხელშემწყობ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი ის, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობს დასახული ამოცანის გადაწყვეტას. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თამაშში გამოყენებული მოძრაობითი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ ვარჯიშებად; მართალია, ისინი თამაშისთვის მიზანშეწონილი მოქმედებებია, მაგრამ, რადგან დოზირებას არ ექვემდებარებიან (ეს თამაშის თავისებურებაა), ფიზიკურ ვარჯიშებად ვერ ვაღიარებთ.

ფიზიკური აღზრდის ახალი სასკოლო პროგრამიდან (კერძოდ, VII კლასის პროგრამიდან) მოძრავი თამაშები რატომღაც ამოღებულია. ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯი მცდარია. მოძრავი თამაშები მხოლოდ სპორტულ მიზნებს კი არ ემსახურება, არამედ აღზრდის დამოუკიდებელი საშუალებაა და მისი დანიშნულება მარტო სასკოლო ასაკით და უშუალოდ სპორტის ინტერესებით არ განისაზღვრება. მოძრავ თამაშებს ფიზიკური კულტურის საბჭოური სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდის საშუალებებად უნდა ვაღიაროთ „ფიზიკური ვარჯიშები“ და „მოძრავი თამაშები“.

ვფიქრობთ, ამ დებულებას სპეციალური სახელმძღვანელოების ავტორები და რაც მთავარია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და პრაქტიკის სპეციალისტებიც გაიზიარებენ.

ვასილ ელაშვილი,
პროფესორი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

როგორც ამას წინათ მკითხველს ვაუწყეთ, სპორტსახკომში კოლეგიის სხდომამ იმსჯელა მახარაძის სპორტკომიტეტის სპორტსკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ. რედაქციამ მიიღო რაიონის სპორტკომიტეტის სხდომის ოქმის ამონაწერი, სადაც ვკითხულობთ:

„სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მუშაობა კომიტეტის სხდომამ შეაფასა არადამაკმაყოფილებლად. ცნობად იქნა მიღებული, რომ სპორტული სკოლის დირექტორი ო. კაშინსკი პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებულია სამუშაოდან და სპორტსახკომში საკითხის განხილვისას კოლეგიამ მას გამოუცხადა სასტიკი საყვედური. სპორტული სკოლის ახალ ხელმძღვანელობას დაევალა მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე გაატაროს რადიკალური ღონისძიებები, განუხრელად დაიცვან დებულების მოთხოვნები, გარდაჭრნან სკოლის მუშაობა.

გადაწყდა სპორტსახკომის მითითების საფუძველზე 1986 წლის 1 სექტემბრიდან დაიხუროს ის ჯგუფები, რომლებიც წლების განმავლობაში არ ავლენენ და ამზადებენ პერსპექტიულ სპორტსმენებს. შესაბამისად გამსხვილდეს სპორტის ის სახეობები, სადაც მუშაობა ხასურველ შედეგს იძლევა (კლასიკური ჭიდაობა, სახტენდო სროლა, მძლეოსნობა, ხელბურთი). ამასთან ითამაღლონ მწვრთნელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, სრულად აღმოფხვრან მუშაობაში დაშვებული მანკიერი სტილი.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

დადგა მეოთხედფინალის ეტაპი

მსოფლიო XIII საფეხბურთო ჩემპიონატში დამთავრდა მერვედფინალური ეტაპი, ბრძოლას შემორჩა მე ოთხედფინალის მონაწილე 8 გუნდი და სწორედ ეს უძლიერესნი გამარ თავენ ბრძოლას ერთმანეთთან ნახევარფინალში მოსახვედრად, ნახევ არფინალი კი ეს უკვე ჩემპიონატის მედლებია: ვის ოქროსი, ვის —ვე რცხლის, ვის კიდევ — ბრინჯაოსი...

ისეთი დიდი რანგის შეჯიბრებას, როგორიც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატია, მოულოდნელი, წინასწარ განუსაზღვრელი მოვლენები თან ახლავს. მართალია, არსებითი ხასიათის სიურპრიზები მექსიკის სტადიონებზე არ მომხდარა, გათამაშების საბოლოო ეტაპსაც მხოლოდ ფავორიტები შემორჩნენ, მაგრამ მოულოდნელობები მაინც ხდება, წინასწარ ძალზე ძნელია იმის თქმა, თუ რა მოხდება ყოველ კონკრეტულ მატჩში.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია, თუნდაც, ესპანეთისა და დანიის გუნდების შეხვედრის ერთობ მოულოდნელი შედეგი. ორივე მეტოქე, შეიძლება ითქვას, თანაბარი კვალიფიკაციის გუნდია, ზოგი ესპანელთა წარმატებას ვარაუდობდა, ზოგი — დანიელებისას, მაგრამ ის, რაც ამ ორი გუნდის მატჩში მოხდა ქალაქ კერეტაროს „კორერიდორას“ სტადიონზე, ნამდვილად სენსაციურია. 5:1 მაშინ, როცა ორივე გუნდს წარმატების თანაბარი პერსპექტივა ჰქონდა, ძალზე ძნელი სავარაუდო იყო, ესპანელებმა კი სწორედ ამ ანგარიშით დაამარცხეს დანიის ნაკრები, ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი. დანიელებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს ათლეტური, კოლექტიური და ძალზე ზუსტი, კომბინაციური თამაშით. თითოეულმა ფეხბურთელმა, მათ შორის კი არიან გამოჩენილი ოსტატები ელკიაერი, ლერბიუ, ლაუდრუპი, ე. ოლსენი და სხვანი, ზედმიწევნით კარგად იცის თავისი საქმე, გუნდი ერთ მთლიანობაში, მონოლითურად მოქმედებს დაცვაშიც და შეტევის დროსაც. ჯერ კიდევ ევროპის ზონის საკვალიფიკაციო ჯგუფში და აქაც, მექსიკის სტადიონებზეც, დანიელებმა ეს ცხადად ნათელჰყვეს. მათი შედეგები შოტლანდიის (1:0), ურუგვაის (6:1) და, განსაკუთრებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (2:0) გუნდებთან, უკვე თავისთავად მეტყველებს დანიელ ფეხბურთელთა სიძლიერეზე. არანაკლებ ავტორიტეტულია ესპანელთა მაჩვენებლებიც, ჭირძოდ, გამარჯვებები ჩრდილოეთ ირლანდიისა (2:1) და ალჟირის (3:0) გუნდებთან, თუმცა, ესპანელებმა წინასწარი ტურნირის პირველივე მატჩი წააგეს ბრაზილიის ნაკრებთან —0:1.

ერთი სიტყვით, ესპანეთისა და დანიის გუნდების მატჩში უალრესად დაძაბულ თამაშს მოველოდით. ბრძოლა, მართლაც, უშეღავათო იყო, მაგრამ ესპანელთა გამარჯვებამ და ისიც ანგარიშით 5:1, დანიის გუნდის ყველა ადრინდელ გამარჯვებას გადაუსვა ხაზი.

სიმართლე რომ ითქვას, დანიელებს ურიგოდ არ ჩაუტარებიათ მატჩი, პირველი ბურთიც მათ გაიტანეს და სწორედ მაშინ, როცა გუნდი დაწინაურდა და შეტევას შეტევაზე ავითარებდა, განთქმულმა ბომბარდირმა ელკიაერმა ზედიზედ ორჯერ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, მერე კი ე. ნილსენმა შორი მანძილიდან, როცა სათამაშო სიტუაცია ამას არ მოითხოვდა, სრულიად გაუთვალისწინებლად მიაწოდა თავის მეკარე ჰოგს ბურთი, გადაცემას მიუსწრო ესპანელმა ბუტრაგენომ და გაათანაბრა ანგარიში.

ესპანეთი — დანია. ამ მატჩში თავი გამოიჩინა ესპანელმა ემილიო ბუტრაგენომ, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა. ბუტრაგენოს (მარცხნივ) თავით გააქვს ბურთი დანიელთა კარში.

საკედეს-საჭინფორმის ფოტო.

შესვენების შემდეგ მდგომარეობის ბატონ-პატრონები ესპანელები გახდნენ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა მ. მუნიოსმა სწორად აუღო ალღო მინდორზე შექმნილ მდგომარეობას, მინდორზე გამოიყვანა მეტად სწრაფი ფეხბურთელი ელიო, მან და მისმა პარტნიორებმა ყველაფერი გააკეთეს. რათა აქტიური თამაშის საშუალება შეექმნათ ბუტრაგენოსთვის, სწორედ ბუტრაგენო იქცა ამ მატჩის გმირად. ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს ესპანელებმა, 4 ბურთი გაიტანა ბუტრაგენომ, ერთიც — გოიკოეჩეამ.

სხვათა შორის, ესპანეთისა და დანიის გუნდების შეხვედრას ექსცესები. უძღოდა წინ. ეს უკვე ძველი, ნაცადი ხერხია და ესპანელი ჟურნალისტები, მათთან ერთად ზოგიერთი გულშემატკივარიც, შუალამემდე ხმაურობდნენ სასტუმროში, სადაც დანიელი ფეხბურთელებიც ცხოვრობდნენ. დანიელთა უფროსმა მწვრთნელმა ზ. პიონტეკმა პოლიციას უხმო, საქმეში ოფიციალური პირებიც ჩაერივნენ. გარდა ამისა, დანიის ნაკრების ხელმძღვანელებმა შეიტყვეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ესპანეთის გუნდის მოთამაშე რამონ კალდერეს ანტისადოპინგო კონტროლის დროს ორგანიზმში აღმოუჩინეს რაღაც აკრძალული ნივთიერება და მოითხოვეს ამ ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა შეამოწმეს რ. კალდერეს. აღმოჩნდა, რომ მას მუცელი ასტკივებია და მექიკოს ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმის მიერ გამოწერილი ანტიბიოტიკი მიუღია. აღმგზნებ საშუალებათა მიღების ფაქტი არ დადასტურდა, რ. კალდერეს თამაშის უფლება დართეს, დანიის საფეხბურთო ფედერაცია კი 25 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს. ასე დამთავრდა დანიის ფეხბურთელთა გამოსვლა მსოფლიოს XIII ჩემპიონატზე.

პარალელურ მერვედფინალურ მატჩში მეხიკოს „აცტეკას“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და პარაგვაის გუნდები. ოღონ არც აქ იყო გამარჯვებულის გამოცნობა, ვინაიდან პარაგვაელებმა პირველ ეტაპზე ძლიერი თამაშით გამოიჩინეს თავი, დაამარცხეს ერაყელები (1:0), ფრედ ითამაშეს მექსიკელებთან (1:1) და ბელგიელებთან (2:2). ინგლისელებმა კი მარცხიანი სტარტის შემდეგ (პორტუგალიასთან 0:1), საქმე გამოასწორეს მაროკოსთა (0:0) და პოლონეთის (3:0) გუნდებთან აღებული ქულებით. მაინც, მიმომხილველები უპირატესობას ინგლისელებს უქადდნენ, რომლებიც თანდათან აძლიერებდნენ თამაშს, საბრძოლო ფორმაში შედიოდა ჰარი ლინეკერიც — მათი ცენტრალური თავდამსხმელი და მთავარი შემტევი ძალა.

მაინც, ასეთ დიდ ანგარიშს არავინ ელოდა, აშკარა უპირატესობა ინგლისელებს ჰქონდათ, გამარჯვებაც მათ დარჩათ: ლინეკერმა 2 ბურთი გაიტანა, ერთი ბერდსლიმ.

ინგლისელთა მეტოქე მეოთხედფინალში არგენტინის გუნდი იქნება. როცა ამ მატჩის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს ინგლისის ნაკრების უფროს მწვრთნელს ბ. რობსონს, მან განაცხადა: „პარაგვაი და არგენტინა დაახლოებით ერთი ტიპის ფეხბურთს თამაშობენ, თუმცა, არგენტინელები საერთო კლასით უფრო მაღლა დგანან. მეტად დაძაბული ბრძოლა მოგველის, შევეცდებით გამოვიყენოთ არგენტინელთა სუსტი მხარეები“.

პარაგვაელთა უფროსმა მწვრთნელმა ქ. რემ თქვა: „ფეხბურთი ჩვენს ქვეყანაში პროგრესის გზაზეა. 28 წელია პარაგვაელ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში, ახლა კი ეს უფლება მოვიპოვეთ და მერვედფინალშიც გავედით. მეტი, ეტყობა, აღარ შეგვეძლო“.

ეოთხედფინალის ნყვილები

მსოფლიო XIII საფეხბურო ჩემპიონატზე გამოვლინდნენ ეოთხედფინალის მონაწილენი:

ბრაზილია — საფრანგეთი.
ადალახარა. 21 ივნისი.

გერმანიის ფედერაციული ესპუბლიკა — მექსიკა. მონერეი. 21 ივნისი.

ბელგია — ესპანეთი. პუებ. 22 ივნისი.

არგენტინა — ინგლისი. მეხი. 22 ივნისი.

25 ივნისს შედგება ნახევარინალური მატჩები. ეს თამაშეი გაიმართება მეხიკოსა და გვალახარაში.

გთავაზობთ მეოთხედფინალუი მატჩების ტრანსლაციის განრიგს (ცენტრალური ტელევიზიით ორო თბილისისაა).

21 ივნისი. შაბათი. I პროგა. ბრაზილია — საფრანგეთი. 23 საათზე.

22 ივნისი. კვირა. I პროგრამა. ესპანეთი — გერმანიის ფედეაციული რესპუბლიკა. 12 ს. წ.

„ჩემპიონატის დღიური“. 22 ს. წ.

არგენტინა — ინგლისი. ს.

II პროგრამა. 9. ს. 30 წ. ბრაილია — საფრანგეთი (21 ივნის მატჩის გამეორება).

23 ივნისი. ორშაბათი. I პროგა. ბელგია — ესპანეთი. ს.

ელგია — ესპანეთი. 23 ს.

II პროგრამა. არგენტინა — გლისი (II ტაიმი). 11 ს. 35 წ.

თუ ტელეგადაცემათა განრიგში ცვლილებები მოხდა, ცნობები ქვეყნდება დამატებით.

დღეს თამაშობენ:

აზილია — საფრანგეთი

ღეს გვადალახარას „ხალისო“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდან ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. ეს მატჩი მეოთხედფინალური ეტაპის ცენტრული მოვლენაა, ორივე გუნდი ონატის ღირსეული ფავორიტია და ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მათგანი მედლების გარეშე უნდა დარჩეს, ამ ორთაბრძოლას ძალზე ამაფრებს. ამ გუნდების შეხვედრათა ისტორიაში უპირატესობა ბრაზილელთა მხარესაა: მათ 3 მატჩი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ერთიც წააგეს (ბურთების შეფარდება 13:8). მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ეს გუნდები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. 1958 წელს, შვეციაში, ნახევარფინალურ მატჩში სამხრეთამერიკელებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს მეტოქე.

მექსიკა — გფრ

საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი მონტრეის „უნივერსიტარიოს“ სტადიონზეც მექსიკისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებს შორის. მექსიკელები ახლა ძლიერად ითამაშებენ, ფორმაში შევიდნენ დასავლეთგერმანელებიც. ბუნებრივია, ორივე გუნდი ყველაფერს იღონებს გამარჯვების მოსაპოვებლად. მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში მექსიკისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, 1978 წელს არგენტინაში. მაშინ ევროპელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 6:0. სულ კი ეს გუნდები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 2 მატჩი მოიგეს დასავლეთგერმანელებმა, 2 თამაში ფრედ დამთავრდა და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს მექსიკელებმა (ბურთების შეფარდება 13:4 გფრ-ის ნაკრების სასარგებლოდ).

ჩემპიონატის სტატისტიკა...

მატჩი №39. არგენტინა — ურუგვაი 1:0 (1:0). მერვედფინალი. პუებლა. 16 ივნისი. გოლი: პასკუალი. მსაჯი ლ. ანოლინი (იტალია). 20 ათასი მაყურებელი. გააფრთხილეს გარე, ბრაუნი (არგენტინა), ფრანჩესკოლი, ასევედო, და სილვა (ურუგვაი).

მატჩი №40. ბრაზილია — პოლონეთი 4:0 (1:0). მერვედფინალი. გვადალახარა. 16 ივნისი. გოლები: სოკრატესი (11-მეტრიანი), ჟოსიმარი, ედინიო, კარეკა (11-მეტრიანი). მსაჯი ფ. როტი (გფრ). 50.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ბრაზილიელები ჟოსიმარი და ედინიო, პოლონელები— სმოლიარეკი, ძეკანოვსკი და ვუიციცკი.

მატჩი №41. იტალია — საფრანგეთი 0:2 (0:1). მერვედფინალი. მეხიკო. 17 ივნისი. გოლები: პლატინი, სტოპირა. მსაჯი ქ. ესპოზიტო (არგენტინა). 60.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ფრანგი აიაში და იტალიელები დი ნაპოლი და დი ჯენარო.

მატჩი №42. მაროკო — გფრ 0:1 (0:0). მერვედფინალი. მონტერეი. 17 ივნისი. გოლი — მატეუსი. მსაჯი ზ. პეტროვიჩი (იუგოსლავია). 10.000 მაყურებელი. გააფრთხილეს მაროკოელი ფეხბურთელები ლემრისი და ხალიფა.

ესიკური მოზაიკა

რამდენ მაყურებელს იტევს ეკას“ სტადიონი, ეს ზუსტად იცის. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მთა- სტადიონზე ბევრია ფეხზე დაი ადგილი და ადმინისტრაშეუძლია, როგორც უნდა ისე ყუნოს ისინი. ჯერჯერობით ურებელთა სარეკორდო რაოება — 114.580 კაცი მექსიკა არაგვაის თამაშს დაესწრო, ვარაუდობენ, რომ ჩენპიო- დასკვნით ნაწილში რეკორ- ყაუმჯობესდება.

მექსიკა — პარაგვაის მატჩის ბამდე რამდენიმე საათით ადაჯთა ბრიგადა შეიცავდა. ეს დრა ბელგიელ ალექს პონეს ემსაჯა. მაგრამ არბიტრთა იამ უკანასკნელ მომენტში „აღმოაჩინა“, რომ ამ ჯგუფში ბელგიის გუნდიც თამაშობდა, ამიტომ პონეს ნაცვლად შვედ ფრედრიკსონთან და ინგლისელ კორტინთან ერთად რუმინელი არბიტრი იოან იენა გამოვიდა.

⊙ 7 ივნისს იტალიის ნაკრების მოთამაშენი და ჟურნალისტები პუებლოს მახლობლად სოფელ ჩიპილოში ჭორწილში დაპატიჟეს. მასპინძლებს — ჩრდილოეთ იტალიელ ემიგრანტებს, რომლებიც დიდი ხანია მექსიკაში ცხოვრობენ, იტალიური ენა მთლად დავიწყნიათ, ამიტომ სტუმრებთან კონტაქტის დამყარება გაუჭირდათ. ნახევარი საათის შემდეგ ბეარზოტმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და გუნდი ბაზაში დაბრუნა.

⊙ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი რუმენიგე უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მწვრთნელს იგი მხოლოდ 10-20 წუთით გამოჰყავს სათამაშოდ. მართალია, მთლად მორჩენილი არა ვარ, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, მაგრამ მირჩევნია მოედანზე მთელი 90 წუთი დავყო. მე არასოდეს არ გამოვსულვარ შეცვლაზე და ამიტომ თამაშში მოულოდნელად ჩართვას არა ვარ შეჩვეული.

გოლები, გოლები...

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალურ შეხვედრათა შემდეგ საუკეთესო ბომბარდირები არიან ესპანელი ე. ბუტრაგენო და ინგლისელი ჰ. ლინეკერი. მათ ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე 5-5 ბურთი გაიტანეს.

4-4 გოლი გაიტანეს ბრაზილიელმა კარეკამ, დანიელმა ელკიაერმა, იტალიელმა ალტობელიმ და საბჭოთა ფეხბურთელმა ბელანოვმა.

ფეხბურთის გულშემატკივართა კონკურსი

ძვირფასო მეგობრებო!

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ინერგება ხიახლე — თბილისის ორჯონიკიძის რაიონისა და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თანასრომით თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მატჩებზე ჩატარდება გულშემატკივართა კონკურსი.

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ ფეხბურთის გულშემატკივართა კონკურსში, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება, კარგად უნდა იცნობდეთ კონკურსის პირობებს.

საკონკურსო კითხვებს გაეცნობით გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე. კითხვები ყოველ მატჩზე ერთი და იგივეა.

კითხვებზე პასუხები უნდა გასცეთ გაზეთის ამავე ნომერში შემოთავაზებული ანკეტის მეშვეობით (იხ. მე-4 გვ.). შევსების შემდეგ გაზეთიდან გამოჭრილი და შევსებული ანკეტა უნდა ჩაუშვათ სტადიონის შემხსავლელებში მდგარ სპეციალურ ყუთებში. მატჩის დაწყების წინ ყუთები დაილუქება.

მატჩის დამთავრების შემდეგ სპეციალური ჟიური განიხილავს კონკურსის შედეგებს, რომელიც გამოცხადდება „ლელოში“. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო სუვენირებით, რომლებსაც ისინი მიიღებენ „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის დირექციაში, მომდევნო ტურის მატჩის დღეს.

ДИАД ГАМАРЖВЕБАС МИЕЖЛВНА

რიაზანის მიზიდულობა

საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული საკავშირო საავტომობილო კროსი, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 41-ე წლისთავს მიეძღვნა.

სანამ ტექნიკურ შედეგებს გავეცნობოდეთ, მოვუსმინოთ საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსს **ნესტორ ახრახაძეს:**

— უკვე ოცი წელია, რაც ჩვენი სპორტსმენები რიაზანის კროსში მონაწილეობენ. უნდა შევაფასოთ საკუთარი ძალები, ვნახოთ მეტოქეები. რიაზანის კროსი სეზონის ოფიციალური შეჯიბრებების „უვერტიურაა“ და ამიტომ თავისებური მიმზიდველობაც აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში კროსი 1973 წლიდან არ ჩატარებულა, ქართველი სპორტსმენებისთვის ეს ასპარეზობა თავისებური ვარჯიშიც არის საქართველოს, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების წინ.

ახლა კი თავად რბოლებისა და სპორტსმენების შესახებ. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა. 270-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე „გაზ-24“-ის, ბაგის, „მოსკვიჩის“, „უაზ“-ისა და უაზ-ის ტიპის მანქანებით. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები დაკომპლექტებული იყო თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების № 3 სატაქსომოტორო პარკის წარმომადგენლებით. გუნდში იყვნენ რიაზანის კროსის შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლევან ღლონტი, ამ შეჯიბრებების პრიზიორები თენგიზ ახვერდოვი, არკადი ფაილევანიანი და გურამ დეკანოსიძე. პირველად მონაწილეობდა ამგვარ ასპარეზობაში პირველთანრიგოსანი ნუკრი ჟღენტი.

დაძაბული ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. ნახევარფინალებსა და ფინალებში ჩვენმა სპორტსმენებმა ავტომანქანის მართვის ვირტუოზული ოსტატობა გამოავლინეს. მათ მეტოქეებს შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორებიც არიან გორკელი ს. აქსიონოვი, მოსკოველი ე. ტრუშკინი, ტოლიატელი ა. რუბლიოვი, ტ. ევერტი ტალინიდან და სხვები. ორი დღის ჯამში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად გაიწილეს მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის გუნდებმა.

—ჩემთვის ამ წარმატებაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა, — თქვა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ანდრო ღლონტმა, — თბილისის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების უფროსის ბ. დარჯანიასა და მესამე სატაქსომოტორო პარკის დირექტორის ზ. ბგრიაშვილის დიდი მხარდაჭერისა და დახმარების შედეგად ჩვენი მანქანები ბრწყინვალედ იყო მომზადებული. შედეგმაც არ დააყოვნა.

ასპარეზობა დამთავრდა. ახლა ჩვენს სპორტსმენებს ახალი დიდი გამოცდა ელით — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი.

ГУРАМ МГАЛОБЛИШВИЛИ.

სურათებზე: საქართველოს ნაკრები (მარცხნიდან): გურამ დეკანოსიძე, ანდრო ღლონტი (მწვრთნელი), არკადი ფაილევანიანი, თენგიზ ახვერდოვი, ნუკრი ჟღენტი, ნესტორ ახრახაძე (გუნდის უფროსი); ახასპარეზობის მომენტი; აი, ეს თასი მოიგეს საქართველოს სპორტსმენებმა.

ჩემპიონატი ლიგა

18 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XVII ტურის მატჩები.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **ოთარ მურვანიძე** ტელეფონით გვატყობინებს ბათუმის „დინამოსა“ და დუშანბეს „პამირის“ შეხვედრის შესახებ:

მეტოქეები სატურნირო ცხრილის ახლო მეზობლები იყვნენ, ამიტომ მატჩიც პრინციპული გამოდგა. სტუმრებმა მონდომებით, აქტიურად დაიწყეს თამაში, დინამოელებმა კი ამ პერიოდში ვერ ააწყეს საერთო ურთიერთმოქმედება და მე-20 წუთზე გოლიც მიიღეს საკუთარ კარში. იგი დოლგანოვმა გაიტანა რახიმოვის ზუსტი გადაცემის შემდეგ

მასპინძლებმა მხოლოდ ამის შემდეგ გააძლიერეს თამაში, 38-ე წუთზე თვალაბეიშვილს საპასუხო ბურთის გატანის მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა, მაკარე გერტნერმა კი ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს და გადაარჩინა თავისი გუნდი.

მატჩის 77-ე წუთზე „პამირი“ კიდევ უფრო დაწინაურდა, ბათუმელთა კარში მეორე ბურთი მანასიანმა გაიტანა. დინამოელები დამარცხების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, ისინი ბევრს უტევდნენ, 84-ე წუთზე პაიჭაძეს შეეძლო ბურთის გატანა, 88-ე წუთზე იგი „პამირის“ საჯარიმო მოედანზე გავიდა, მცველებმა, უხეშად ითამაშეს მის წინააღმდეგ და ანდღულაძემ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი — 1:2. მასპინძლებმა მეტს ვერ მიაღწიეს და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „დინამო“ — მამინაშვილი (ცუცია), გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კაკაბაძე, ათუაშვილი, შელია, თვალაბეიშვილი, მაისურაძე (პაიჭაძე); „პამირი“ — გერტნერი, სიხინკო, ვოლოვოდენკო, იბადულაევი, რახიმოვი, ერმოლაევი, დოლგანოვი (დერგაჩოვი), შირინბეკოვი, რახიმოვი, მანახიანი, მუხამადიევი. მსაჯი გ. ილიაკოვი (სიმფეროპოლი). გააფრთხილეს ჩიქოვანი, შირინბეკოვი.

ლანჩხუთის „გურია“ ამავე დღეს კემეროვოში შეხვდა ადგილობრივ „კუზბასს“ და ფრედ დაამთავრა თამაში — 0:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (ხაბაროვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, „კოტაიკი“ (ახოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 4:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დუგავა“ (რიგა) 1:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ატლანტასი“ (კლაიედა) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ცსკა 1:1.

მორიგი ტურის მატჩებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გამართავენ დღეს, 21 ივნისს. ბათუმის „დინამო“ შინ მიიღებს ტაშკენტის „ფახთაქორს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ ხაბაროვსკში შეხვდება ადგილობრივ არმიელთა გუნდს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	16	10	4	2	33-17	24
ცსკა	16	9	5	2	28-14	23
„გურია“	16	9	3	4	25-22	21
„ლოკომ.“	16	7	6	3	18-11	20
„როტორი“	16	9	1	6	21-13	19
„როსტსელ.“	16	7	5	4	30-22	19
„კოლოსი“	17	7	5	5	16-17	19
„პამირი“	16	6	7	3	24-18	19
„ფახთაქორი“	16	8	1	7	20-20	17
ასკ „კარპ.“	16	7	3	6	29-18	17
ასკ რ.	16	7	3	6	16-13	17
„დინამო“ გ.	16	7	3	6	15-20	17
„შინიკი“	16	6	4	6	8-8	16
„ყუბანი“	16	3	9	4	13-11	15
„დინ.“ სტ.	16	3	9	4	15-13	15
„ფაკელი“	16	5	4	7	15-19	14
„ისკრა“	16	5	4	7	11-17	14
„კოტაიკი“	16	4	6	6	10-13	14
„მეტალურ.“	15	5	3	7	15-17	13
„სპარტაკი“	16	3	6	7	18-23	12
„კუზბასი“	16	3	6	7	14-24	12
„ატლანტ.“	16	3	4	9	9-19	10
ასკ ხ.	16	2	5	9	15-26	9
„ნისტრუ“	16	3	2	11	12-36	8

ინფორმაცია

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა ჩემპიონატში თავისუფალი სტილით 200 მეტრიან დისტანციაზე ჰაიკე ფრიდრიხმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.57,55. ეს შედეგი 1984 წლის 23 მაისს კრისტინ ოტოს (ისიც გდრ-ის წარმომადგენელია) მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს 0,20 წამით აღემატება.

ნიუ-იორკი. აშშ-ს კალათბურთელ ქალთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კეი იოუმ დაასახელა იმ სპორტსმენთა გვარები. რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვში გამართულ კეთილი ნების თამაშებში. ნაკრებში მოხვდნენ: ს. ბრაუნი, შ. კოლინზი, ც. კუპერი, კ. დევისი, ე. დონოვანი, ტე. ედვარდსი, კ. ეტრიჯი, ჯ. კილმი, ფ. ხარისი, კ. მაკლევინი, ტ. ვეტერსპუნი და ჩ. მილერი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი სამჯერ აშშ-ს საუკეთესო კალათბურთელად იყო დასახელებული. მილერი, დონოვანი და ედვარდსი ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან.

ბელგრადი. ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის („იუგოსლავიის თასი“) სასტარტო შეხვედრებში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უნგრეთისა (31:22) და რუმინეთის (26:17) გუნდები დაამარცხეს. ორ-ორი მოგება აქვთ გდრ-ისა და იუგოსლავიის ხელბურთელებსაც.

კიევი. მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატში თავისუფალი სტილით 100-მეტრიან დისტანციაზე 20 წლის კუბიშეველი ნიკოლოზ ევსეევი უძლიერესი იყო — 50,55. ეს შედეგი წლეულს ევროპაში საუკეთესოა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 24-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 15 ივნისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 687974 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (35 ბარათი) მოგება 1371 მანეთია, ოთხისთვის (1819) — 34, სამისთვის (32184) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 5 663 390 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (30 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4738) — 109, სამისთვის (146368) — 6.

ყურადღება!

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი განმარტავს, რომ ამ სასწავლებელში მისაღები გამოცდების პირობების შესახებ 19 ივნისს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ტექსტში მესამე აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ფიზიკური კულტურის მასწავლებლის სპეციალობაზე მიიღებიან ფრენბურთელები...“ შემდეგ — როგორც ტექსტშია. ამ ქვე გამოქვეყნებულ მეორე განცხადებაში, რომელიც ერთთვიანი მოსამზადებელი კურსების მუშაობას ეხება, მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „მსურველები 20 ივნისიდან 30 ივნისამდე.“ შემდეგ — როგორც ტექსტშია.

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეჩილაძე.

უიმბლდონის ტურნირის წინ

ისტბორნი (ინგლისი). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მერვედფინალში ლეოველმა ლარისა სავჩენკომ ფრანგი ნატალი ტოზია დაამარცხა—7:5, 6:7, 7:5. მეოთხედფინალში მისი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა იყო. გამარჯვება ამჯერად ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენს დარჩა — 6:1, 6:2.

წარუმატებლად იასპარეზა მერვედფინალში მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომ. მას კლაუდია კოდე-კილმმა (გფრ) აჯობა — 6:4, 6:1. მერვედფინალში გამოეთიშა ასპარეზობას მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ჰანა მანდლიკოვაც (ჩეხოსლოვაკია).

ახლა საბჭოთა ჩოგბურთელები უიმბლდონის ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 23 ივნისს აიღებს სტარტს.

კონკურსში მონაწილის ანკეტა

1. რა ანგარიშით დამთავრდება თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩი? . . . . .
2. ვინ გაიტანს ამ მატჩში ბურთებს? . . . . .
. . . . . .
. . . . . .
3. გვარი, სახელი . . . . . .
4. სამუშაო ადგილი . . . . . .

შენიშვნა: კონკურსის პირობები იხ. მე-3 გვერდზე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 21 ივნისი. დღის ტანვარჯიში —**9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში — **15.05 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში — **16.50 (2);** სსრ კავშირისა და გდრ-ის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა — **21.15 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — საფრანგეთი (მეოთხედფინალური მატჩი) — **23.00 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 21 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — საფრანგეთი (მეოთხედფინალური მატჩი)— **23.00.**

საქართველოს რადიო. 21 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15;** რიტმული ვარჯიში — **11.40.**

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 22 ივნისი. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი)— „სპარტაკი“ (ცხინვალი). დასაწყისი 12 ს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მაროვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502